# გამარჯვება

საქ. კპ ახმეტის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონულისაბჭოს ორგანო

гамарджвеба — орган Ахметского райкома КП Грузии и райсовета депутатов трудящихся

ოთხშაბათი 21 მარტი 1956 წ.

№ 35 (691) ფასი 15 კაპ. გამოცემის მე-10 წ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის მოქმედების საბრძოლო პროგრამაა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ვალი და მოვალეობაა აღზარდონ კომუნისტები, ყველა მშრომელი ამ გადაწყვეტილებათა ცოდნით, უზრუნველყონ ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება.

„პრავდა".

## ქმედითი პოლიტიკური აგიტაციისათვის

სამეურნეო წარმატებათა მო-...ებისათვის ბრძოლაში მნიშ-...ლოვან როლს ასრულებს ...ად დაყენებული სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. იქ, ...აც პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მოთხოვნილების სიმაღლეზეა აყვანილი, ...ც მაღალია მშრომელთა ...ნებულობა, ნაყოფიერია მათი პრაქტიკული საქმიანობაც.

...ჩვენს რაიონში სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას ემსახურება 30 აგიტკოლექტივი, რომლებშიაც გაერთიანებულია 400-ზე მეტი აგიტატორი. ...ან კარგი მუშაობით გამოირჩევიან მატნის მახარაძის, ...ალვნის ლენინის, ქისტაურის ორჯონიკიძის, ახმ-...კალინინის, დუისის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობათა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან არსებული აგიტკოლექტივები. ...კოლმეურნეობებში აგიტატორები სისტემატურად მართავენ ცოცხალ, საინტერესო საუბრებს, მშრომელებს აცნობენ ჩვენი პარტიისა და მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, საერთაშორისო ამბებს, თავიანთ საუბრებს მჭიდროდ უკავშირებენ ...ებას, კოლმეურნეობის წინაშე მდგომ ამოცანებს და ...წოდებენ ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლისაკენ. შედეგიც სახეზეა: ამ კოლმეურნეობებში განმტკიცდა შრომის დისციპლინა, ამაღლდა კოლმეურნეთა პასუხისმგებლობა მათზე მინდობილი საქმისადმი, გაიზარდა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი. კარგი მუშაობით განსაკუთრებით გამოირჩევიან ნ. ქოსმენაშვილი, მ. შიოშვილი (ქისტაური), კ. ბაშინურიძე, შ. ბა-...რიძე, ე. მურთაზაშვილი, ვ. ...იაშვილი (ქვემო ალვანი), ...ხანგოშვილი, ე. უშიკიშვილი, ა. აბრამიშვილი (ახშანი) და სხვები.

...ღნიშნულ კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას ...ევენ პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას, პარტიულ კრებებზე პერიოდულად იხილავენ აგიტკოლექტივისა და ცალკეული აგიტატორების მუშაობის საკითხს.

მაგრამ სააგიტაციო-მასობრივ მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. მთელი რიგი კოლმეურნეობების პარტიული ორგანიზაციები ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა ცუდად არის დაყენებული ყვარელწყლის ვაჟა ფშაველას, წინუბნის ჟდანოვის, ქორეთის მოლოტოვის, ხალაწნის ვოროშილოვის სახელობის და რიგ სხვა კოლმეურნეობებში. ამ კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებთან არსებული აგიტკოლექტივები თავიანთ დანიშნულებას ვერ ამართლებენ. აგიტატორები იშვიათად აწყობენ საუბრებს, ისინი ვერ იცნობენ კოლმეურნეობებში, ბრიგადებსა და ფერმებში არსებულ მდგომარეობას. პარტიული ორგანიზაციები ნაკლებ დახმარებასა და კონტროლს უწევენ აგიტკოლექტივებსა და ცალკეულ აგიტატორებს. ნაწილობრივ ამით უნდა აიხსნას ის ჩამორჩენა, რასაც ამ კოლმეურნეობებში აქვს ადგილი: არ სრულდება საწარმოო გეგმები, რის გამო დაბალია კოლმეურნეობათა შემოსავალი, ცუდად არის დაყენებული პირუტყვის გამოზამთრება და ა. შ.

კოლმეურნეობებში უკვე დაიწყო მეტად საპასუხისმგებლო პერიოდი—საგაზაფხულო თესვა. პარტიულმა ორგანიზაციებმა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა საშუალება, როგორიც არის საუბარი, მოხსენება, ლექცია, გაზეთის კითხვა, კედლის გაზეთი და სხვა უნდა გამოიყენონ კოლმეურნეთა ფართო მასების დასარაზმავად საგაზაფხულო თესვის შემჭიდროებულ ვადებში ჩასატარებლად.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა უნარიანად გამოიყენონ პოლიტიკური აგიტაცია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული დიადი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

## ამხანაგ ბოლესლავ ბერუტის დაკრძალვა

16 მარტს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა უკანასკნელად გამოეთხოვა თავის დიდ შვილს, სოციალისტური პოლონეთის მშენებლობის უნიჭიერეს ორგანიზატორს, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ბოლესლავ ბერუტს.

ვარშავა გლოვობს, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობის წინ, რომელშიც დასვენებულია ბოლესლავ ბერუტის ცხედარი, პოლონეთის დედაქალაქის ათასობით მშრომელია. ასიათასობით ადამიანმა მთელი პოლონეთიდან გაიარა განსვენებულის კუბოს წინ.

9 საათსა და 35 წუთზე დარბაზში შედიან ნ. ს. ხრუშჩოვი, მ. ა. იასნოვი, ნ. ტ. კალჩენკო, ვ. ი. კოზლოვი, ი. პალეცკისი, ი. ს. კონევი, ნ. ი. ბობროვნიკოვი, ვ. ლ. ვასილევსკაია, პ. კ. პონომარენკო, ჩინეთის მთავრობის დელეგაცია მარშალ ჯუ დეს მეთაურობით, ბევრი ქვეყნის ძმური კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები და წევრები, რომლებიც ჩამოვიდნენ, რათა უკანასკნელი ვალი მოიხადონ საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ამხანაგ ბერუტის წინაშე.

ყოველ ხუთ წუთში იცვლება საპატიო ყარაული კუბოსთან. დარბაზში გაისმის სამგლოვიარო მუსიკის ჰანგები.

განსვენებულის კუბოს ფრთხილად ასწევენ, ქუჩაში გაიტანენ და არტილერიის ლაფეტზე დაასვენებენ. სამგლოვიარო პროცესია ნელა გაემართება ცენტრალური მოედნისაკენ კულტურისა და მეცნიერების სასახლის წინ. ქუჩის ორივე მხარეზე მწუხარე დუმილით დგას ათასობით მშრომელი, რომელთაც ქუდი მოუხდიათ და მიაცილებენ ბოლესლავ ბერუტს.

სამგლოვიარო კორტეჟი შედის ცენტრალურ მოედანზე. განსვენებულის კუბოს დგამენ მაღალ პოსტამენტზე. პოლონეთის სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ძმური კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციების წევრები ტრიბუნაზე ადიან. მოედანზე შეიკრიბა პოლონეთის დედაქალაქის 150 ათასზე მეტი მშრომელი.

მოედანზე გაისმის სირენის ხმები. მთელმა პოლონეთმა სამი წუთის დუმილით პატივი სცა თავისი საყვარელი შვილის, ამხანაგ ბოლესლავ ბერუტის ხსოვნას.

გაისმის პარტიული ჰიმნის „ინტერნაციონალის" ჰანგები. იწყება ვარშავის მშრომელთა სამგლოვიარო მიტინგი.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს სახელით სამგლოვიარო მიტინგს ხსნის პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ა. ზავადსკი.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ჯუ დემ, ძმური კომუნისტური პარტიების წარმომადგენლებმა.

მიტინგი დამთავრდა. ორკესტრი ასრულებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნს. სამგლოვიარო მარშის ჰანგებში ბოლესლავ ბერუტის კუბოს პოსტამენტიდან იღებენ და დაასვენებენ არტილერიის ლაფეტზე. სამგლოვიარო კორტეჟი სამხედრო სასაფლაოზე მიემართება.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს ფრთხილად მიაქვთ განსვენებულის კუბო დროებით აკლდამისაკენ. კუბოს დაასვენებენ ამაღლებულ ადგილზე. აქ არიან საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, ძმური კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციების ხელმძღვანელები და წევრები. ორკესტრი ასრულებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნს. ამხანაგ ბოლესლავ ბერუტის კუბოს წინ სიტყვას ამბობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ედვარდ ოხაბი. გაისმის საარტილერიო სალუტის ზალპები. განსვენებულის კუბო შეაქვთ აკლდამაში. ასრულებენ პარტიულ ჰიმნ „ინტერნაციონალს".

ბოლესლავ ბერუტის აკლდამას ამკობენ მრავალი გვირგვინით.

ამხანაგ ბოლესლავ ბერუტის კუბო სასაფლაო აკლდამაში დროებით იქნება. შემდეგში მას გადაასვენებენ ვარშავის ციტადელის სპეციალურ ნაგებობაში. (საქტესი).

## ბირმის პრემიერ-მინისტრს უ ნუს გადაეცა საბჭოთა მთავრობის საჩუქარი

რანგუნში გაიმართა ოფიციალური ცერემონია, რომლის დროსაც ბირმის პრემიერ-მინისტრ უ ნუს გადაეცა „ზის 110" მარკის 2 მსუბუქი ავტომობილი, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ აჩუქა საბჭოთა კავშირში მისი ყოფნისას, აგრეთვე კინოფილმი „უ ნუ საბჭოთა კავშირში" ყოფნისა და კინოფილმი „ბირმის სტუმართმოყვარულ მიწაზე" ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ბირმაში ყოფნის შესახებ.

ბირმის პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ მადლობა გადაუხადა საჩუქრისათვის და განაცხადა, რომ მისი ვიზიტი საბჭოთა კავშირში და ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი ბირმაში სამუდამოდ დარჩება მის ხსოვნასა და ბირმელი ხალხის ხსოვნაში.

(საქტესი).

## საბჭოთა საავიაციო ტექნიკის შესანიშნავი მიღწევები

მოსკოვთან ტუშინოს აეროდრომზე სოციალისტური შრომის გმირის ა. ს. იაკოვლევის კონსტრუქციის ვერტოლიოტით „მფრინავი რონოდა" დამყარებულია ტვირთზიდვის ორი სრულიად საკავშირო რეკორდი.

მფრინავმა ე. ფ. მილიუტიჩევმა ოთხი ტონა ტვირთით მიაღწია 2000 მეტრ სიმაღლეს. შემდეგში მფრინავი გ. ა. ტინიაკოვი ორი ტონა ტვირთით აფრინდა 5082 მეტრის სიმაღლეზე. ეს შედეგები წარმოადგენენ საბჭოთა საავიაციო ტექნიკის შესანიშნავ მიღწევებს.

მფრინავების ე. ფ. მილიუტიჩევის და გ. ა. ტინიაკოვის მიღწევები სსრკ ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის სპორტული კომისიის მიერ რეგისტრირებულია, როგორც სრულიად საკავშირო რეკორდები. მასალები გადაგზავნილია საერთაშორისო საავიაციო ფედერაციაში (ფაი) მათი მსოფლიო რეკორდებად რეგისტრაციისათვის „ვერტოლიოტების" კლასით.



ა. ს. იაკოვლევის კონსტრუქციის ვერტოლიოტი „მფრინავი რონოდა" ყველაზე დიდია მსოფლიოში. მანქანას აქვს ორი წამყვანი ხრახნი, რომლებიც აძლევენ საშუალებას აფრინდეს მაღლა ვერტიკალურად გარბენის გარეშე. ვერტიკალურ ბრუნვაში ორ ხრახნებს მოჰყავს ძრავს, რომლებიც დადგმულია ფუზელიაჟში.

სურათზე: ა. ს. იაკოვლევის კონსტრუქციის ვერტოლიოტი ფრენის დროს. რკალებში მფრინავების ე. ფ. მილიუტიჩევის (მარცხნივ) და გ. ა. ტინიაკოვის პორტრეტები.

## პარტიული ცხოვრება

# ერთი აგიტკოლექტივის შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მშრომელთა წინაშე დასახული დიადი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში უდიდესი როლი ენიჭება მშრომელი მასების კომუნისტური აღზრდისა და მათი შეგნებულობის შემდგომ ამაღლებას. ამიტომ აუცილებელია ის უმნიშვნელოვანესი დადგენილებანი, რომლებსაც პარტია და მთავრობა ღებულობს, დავუყვადეთ თვითეულ მშრომელამდე; საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ როგორც სააგიტაციო-მასობრივი, ისე პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. უნდა გვახსოვდეს, რომ, რაც უფრო მაღალია ადამიანთა შეგნებულობა, მით უფრო ნაყოფიერია მათი პრაქტიკული საქმიანობაც. სწორედ ამ ამოცანას ემსახურება რაიონის ასობით აგიტატორი, რომლებიც სწორად განუმარტავენ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას.

ამ მიმართულებით დამაკმაყოფილებლად მუშაობს ქვემო ალვნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული აგიტკოლექტივი, რომელიც 51 აგიტატორს აერთიანებს. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. ო. ჯიჯურიძე გეგმიურად მუშაობს. აქ ყოველ კვირას მომზადებულად ტარდება აგიტსემინარები. სემინარებზე აჯამებენ განვლილი კვირის საქმიანობას და, თუ შეამჩნევენ ნაკლოვანებებს, მაშინვე სახავენ ღონისძიებებს მის აღმოსაფხვრელად. აგიტკოლექტივის მუშაობაში მისაბაძად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ისინი მარტო სემინარებზე საკითხების განხილვით არ კმაყოფილდებიან, ყოველ ორ დღეში ერთხელ მაინც ახდენენ ცალკეული აგიტატორების შემოწმებას თავიანთი სამოქმედო უბნის მიხედვით. მუშაობის ასეთი მეთოდი კი მეტ პასუხისმგებლობას იწვევს თვითეული აგიტატორის საქმიანობაში. აგიტკოლექტივი და პირველადი პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მეცხოველეებთან მუშაობას. ამ მიზნით კოლმეურნეობის სამ ფერმაში მოწყობილია წითელი კუთხეები, მოწყობილია რადიო, ყოველდღიურად მიაქვთ ახალი ჟურნალ-გაზეთები.

სააგიტაციო მუშაობაში განსაკუთრებით გამოირჩევიან: ქ. ბაშინურიძე, შ. ბაკურიძე, ე. მურთაზაშვილი, ლ. ანთაძე, ვ. ქიტიაშვილი და სხვები, რომლებიც აგიტსაუბრებს მიზნიდეულად, ცოცხლად და საინტერესოდ ატარებენ. მაგრამ არიან ისეთი აგიტატორებიც, რომლებიც სააგიტაციო მუშაობას უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან. ასეთებია, მაგალითად, ს. თორლვაიძე და ნ. ჭაბუკაიძე, რომლებიც არც სემინარებს ესწრებიან და არც თავიანთ უბნებში ატარებენ საუბრებს. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა უნდა იბრძოლონ იმისათვის, რომ ბოლო მოუღონ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ჩამორჩენას.

აგიტკოლექტივი თავის მუშაობაში იმიტომ აღწევს წარმატებებს, რომ კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია და ზონის ინსტრუქტორი ალვნის მტს-ის ზონაში ამხ. ი. თედეშვილი ქმედით დახმარებას უწევენ აგიტკოლექტივს. მაგალითად, მიმდინარე წლის იანვარში პარტიულმა ორგანიზაციამ თავის კრებაზე განიხილა აგიტკოლექტივის მუშაობის საკითხი და აგიტატორები მ. ასპანაშვილი, ს. გარსევანიძე და სხვები, რომლებიც გაურბოდნენ სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას, გააფრთხილა, რომ, თუ არ გამოასწორებდნენ მუშაობას, ისინი დაისჯებოდნენ. მართლაც, კრებაზე საკითხის ამგვარად დაყენებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აგიტკოლექტივის მუშაობას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კოლმეურნეობის კედლის გაზეთი „მომთაბარე" დროულად ეხმაურება აგიტკოლექტივის მუშაობის ცალკეულ საკითხებს და მნიშვნელოვნად ეხმარება მას მუშაობაში. გამომდინარე აქედან აგიტკოლექტივი და პირველადი პარტიული ორგანიზაცია განცხრომას კი არ უნდა მიეცნენ და დატკბნენ მიღწეულით, არამედ კიდევ უფრო უნდა გააუმჯობესონ აგიტატორებთან მუშაობა, რათა დარაზმონ ქვემო ალვნელი კოლმეურნეები მათს წინაშე მდგომი სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის საბრძოლველად.

**შ. ნადირაშვილი,**
საქართველოს კპ ახმეტის რაიკომის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების ინსტრუქტორი.



როვენსკის ოლქი. დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ გოშჩანსკის რაიონის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეები პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესების გაფართოებისათვის კოლმეურნეობების ეკონომიური დაინტერესების შესახებ.

პარტიის მოწოდების პასუხად—შეიქმნას უახლოეს ორ წელიწადში კარტოფილისა და ბოსტნეულის სიუხვე, კოლმეურნეობაში გაიშალა გაცხოველებული მზადება კარტოფილის საგაზაფხულო დარგვისათვის. აქ უკვე მთლიანად მომზადებულია და გაზიდულია მინდვრად სასუქები, დამთავრებულია სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტი. კარტოფილის მთელი რაოდენობა დაითესება კვადრატულ ბუდობრივი წესით ორგანულ-მინერალური ნაზავის შეტანით ბუდეებში. 500 გრამის რაოდენობით ბუდეზე. კოლმეურნეობაში კვირაში ორჯერ რეგულარულად ტარდება აგროტექნიკური მეცადინეობა კოლმეურნეობის აგრონომ ა. კ. კუხარის ხელმძღვანელობით.

სურათზე: კოლმეურნეობის აგრონომი ა. პ. კუხარი (წინ) ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობას მეკარტოფილეებთან.

ფოტო ა. პლატონოვისა.

საკდესის ფოტოქრონიკა

# საგაზაფხულო ხვნა-თესვა

## ნაკისრ ვალდებულებას ასრულებენ

საგაზაფხულო თესვის აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებისათვის ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ზემო ხოდაშნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.

კოლმეურნეებმა დროულად გამოყვეს მაღალხარისხოვანი სათესლე მასალა, დაიყვანეს კონდიციამდე, შეადგინეს თესვის ორგანიზებულად ჩატარების გეგმა. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ გეგმით გათვალისწინებული 40 ჰექტარის ნაცვლად საგაზაფხულო ხორბალი დათესილი იქნა 47 ჰექტარზე. ასევე გადაჭარბებით იქნა შესრულებული მზესუმზირისა და ქერის თესვის გეგმა.

უხვი მოსავლის მიღებისათვის მემინდვრეობის მესამე ბრიგადამ (ბრიგადირი ს. ბაბილაშვილი) სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია პირველი ბრიგადა. ბრიგადებმა გასულ წელთან შედარებით გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

**ს. შეშაბერიძე.**

## ჩამორჩენა კვლავ გრძელდება

შარშან სოფელ შახვეტილის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობამ საშემოდგომო თესვის გეგმა ვერ შეასრულა. 80 ჰექტარის ნაცვლად მოხნა და დათესა 50 ჰექტარი.

მოსალოდნელი იყო, რომ კოლმეურნეობის გამგეობა საჭირო დასკვნებს გააკეთებდა გასული წლის მუშაობის პრაქტიკიდან, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ჩამორჩენა კოლმეურნეობაში კვლავ გრძელდება.

ახლა, როცა საგაზაფხულო ხვნა-თესვის გადამწყვეტი დღეები კარზეა მომდგარი, კოლმეურნეობა და მისი გამგეობა სრულიად მოუმზადებელი ხვდება მას. დღემდე მათ კიდევ არა აქვთ ხორბლისა და ქერის კონდიციური თესლი და არც ჩქარობენ მის კონდიციამდე აყვანისათვის.

შახვეტილა მთაგორიანი რელიეფის მქონე სოფელია. აქ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ძირითადად გამწევი ძალით უნდა შესრულდეს. ამიტომ პირუტყვს მუდმივი ზრუნვა და გამლიერებული კვება ესაჭიროება. სამწუხაროდ, კოლმეურნეობის გამგეობა გამწევ ძალას მხოლოდ ხორბლის ნამჯით კვებავს და საეჭვოა ასეთი ნაკვები გამწევი ძალით შეასრულონ საგაზაფხულო თესვის გეგმა, თუ კოლმეურნეობამ გადამჭრელი ზომები არ მიიღო კვების რაციონის გაუმჯობესებისათვის.

ზამთრის თვეები შახვეტილელებს „შეუმჩნევლად" გაეპარათ, მათ დროზე არ იზრუნეს მანქანა-იარაღების რემონტისათვის. ამან კი ის გამოიწვია, რომ გუთნისდედები იძულებული შეიქმნენ შეურემონტებელი გუთნები შეებათ. 14 გუთნიდან მხოლოდ 10 გუთანია ნამდვილ სამუშაო მდგომარეობაში.

შახვეტილაში 152 ჰექტარზე უნდა დაითესოს საგაზაფხულო კულტურები, მოხნული კი ჯერ ერთი ჰექტარიც არ არის. ეს დამაფიქრებელი ფაქტები იმაზე ლაპარაკობს, რომ შახვეტილაში თუ გადამჭრელი ზომები არ იქნა მიღებული, თესვის გეგმის შესრულება საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

**შ. იოგაშვილი.**

## კოლმეურნეობა სკოლას ეხმარება

ფიჩხოვანის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ს. კურტანიძე) და სკოლის დირექციას შორის (დირექტორი ი. თედეშვილი) მჭიდრო ურთიერთობაა დამყარებული. კოლმეურნეობის გამგეობა სისტემატურ დახმარებას უწევს სკოლას კეთილმოწყობაში, ამარაგებს მას სათბობით, ეხმარება განთესილი მოსწავლეების დაბრუნებაში, საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთის დამუშავებაში და სხვ.

კოლმეურნეობის გამგეობა და სკოლის დირექცია ერთიანი ძალით შეუდგნენ 0,5 ჰექტარი ფართობის სპორტული მოედნის შემოღობვას.

**გ. ბერიკიშვილი.**

## წერილები რედაქციაში

### მივიწყებული ქუჩა

შეიძლება ზოგიერთმა ... კი იცოდეს, რომ ... გორკის ქუჩაც არის ... უტოს კოოპერატივის ... მდებარეობს, რომლის ... რებლებს ძირითადად ... მოსამსახურეები ...

მაგრამ ეს ქუჩა ... ლი ქუჩის მთავ... ტოვებს. მის კეთილ... ბისათვის არც კომუნ... განყოფილება ზრუნავს ... არც ახმეტის სასოფლო ... ჭო.

აი, ამ ქუჩის ზოგ... „სამკაული": დგას ძლიერ ... დი გუბე, რომლის მანქანა... კი უჭირთ გავლა ... გვერდზე მისდევს საცალ... ბილიკი ისეთი ვიწრო, ... ორ ადამიანსაც კი უჭირს ... გავლა. ზამთარში აქ გავლა ... შეუძლებელია, ზაფხულში ... გუბიდან საშინელი ... სუნი მოდის, გუბეში ... ბუზები ჩაბუდებულან, ... მელნიც ავრცელებენ ... რიას. მართალია, მას ... რამდენჯერმე მოასხეს, ... რამ კოლო ყოველ წელს ... ჩნდება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ... იფიქრონ გორკის ქუჩის ... თილმოწყობაზე კომუნალურ... განყოფილებამ და სასოფლო ... საბჭოს აღმასკომმა.

**დ. აბრამიშვილი.**

### საავადმყოფოსაკენ მიმავალი გზა კეთილმოწყობას საჭიროებს

კარგი საქმე გააკეთა ახმ... ტის მარქსის სახელობის კოლ... მეურნეობის გამგეობამ, რო... ცა გასულ წელს საფუძვლი... ანად შეაკეთა საავადმყოფო... საკენ მიმავალი გზა, მოასწო... რა ქვიშითა და ხრეშით.

წელს ამ სამუშაოს კოლმე... ურნეობა კვლავ გააგრძელებს ... მაგრამ გზა არასახარბიელო ... მდგომარეობაშია სანიტარ... ულ-ჰიგიენური თვალსაზრისით ... ბოლოში მკითხველის წინაშე ... და... სანაგვეს მოგაგონებს ... გზის მახლობლად მცხოვრე... ლებიდან არავინ არ ფიქ... რობს სისუფთავის დაცვაზე.

რაიონის სანეპიდსადგურის ... მუშაკებმა ყურადღება უნდა ... მიაქციონ საავადმყოფოსაკენ ... მიმავალ გზაზე სისუფთავის ... დაცვას.

**მ. გაბრიელაშვილი.**

### უმჯობესდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება

ზემო ხოდაშნის საექიმო ... პუნქტი და საავადმყოფო ქმე... დით დახმარებას უწევს სა... კოლმეურნეო სოფლის მშრო... მელებს. მოსახლეობის ჯანმრ... თელობის დაცვის საქმეს ემ... სახურება ორი ექიმი და ... ექიმის თანაშემწე.

პუნქტის გამგემ თ. ს... შვილმა და კ. გოგაურმა ს... მის კარგი ცოდნითა და ავად... მყოფებისადმი გულისხმი... დამოკიდებულებით კოლმეურ... ნეებისა და მოსამსახურეე... სიყვარული და პატივისცემა ... დაიმსახურეს.

**თ. იმედაშვილი.**

# პარტიისა და მთავრობის ზრუნვა კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის

[illegible]

... (საქინფორმი).

ჩვენი სიგნალის შედეგი

## უყურადღებოდ მიტოვებული უბანი

[illegible]



[illegible]

ფოტო გ. ზარქუავასი.

## სწრაფად მეღორეობის ფერმაში

[illegible]

## პიროვნების [illegible] და მასთან ბრძოლა

[illegible]

# უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა

[illegible]

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა ...

[illegible]

(დასასრული მე-4 გვერდზე)